



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 71/ს
08/02/2023

71-21-4-202302080934



დუშეთის მუნიციპალიტეტში, დაბა ფასანაურში სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ მიერ „ვლადიკავკაზ-თბილისის“ მაგისტრალური გაზსადენის 120-121 კმ-ზე მდ. არაგვის ნაპირდაცვითი (ნაპირსამაგრი) სამუშაოების განხორციელებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ მიერ, გზმ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია დუშეთის მუნიციპალიტეტში, დაბა ფასანაურში „ვლადიკავკაზ-თბილისის“ მაგისტრალური გაზსადენის 120-121 კმ-ზე მდ. არაგვის ნაპირდაცვითი (ნაპირსამაგრი) სამუშაოების განხორციელების სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ავარიული მონაკვეთი მდებარეობს დუშეთის მუნიციპალიტეტში, დაბა ფასანაურში „ვლადიკავკაზ-თბილისის“ დნ-700 მაგისტრალური გაზსადენის 120-121 კმ-ზე. მდინარე არაგვის მარცხენა ნაპირზე ეროზიული პროცესების შედეგად, ჩამოიშალა გაზსადენის საექსპლუატაციო თარო და გაშიშვლდა გაზსადენის მონაკვეთი, რაც საფრთხეს უქმნის გაზსადენის უსაფრთხო ფუნქციონირებას. მდინარის კალაპოტის გასამაგრებლად პროექტით გათვალისწინებულია 100 მეტრი სიგრძის გაბიონის კედლის მოწყობა. საპროექტო ნაპირსამაგრი ნაგებობის საწყის და ბოლო წერტილის GPS კოორდინატებია: X-474236.365 Y-4689484.812; X-474263.798, Y-4689399.934. უახლოესი საცხოვრებელი სახლი საპროექტო ტერიტორიიდან დაშორებულია 135 მეტრით.

სკრინინგის განცხადების თანახმად, 100 მეტრის სიგრძის გაბიონის კედელი წარმოდგენილი იქნება 4 იარუსიანი კედლის სახით. კონსტრუქციისათვის გამოყენებული იქნება გაბიონის ყუთები (პარამეტრები: 2x1x1 მ). გაბიონის ყუთები მოქსოვილი იქნება 2,7 მმ დიამეტრის მავთულისგან, ხოლო გაბიონის ყუთების უჯრედის ზომა იქნება 80 მმ. ნაპირსამაგრი ნაგებობის საძირკველი დაფუძნებული იქნება კლდოვან ქანზე მოწყობილ რკინაბეტონის საძირკველზე. გაბიონებისა და ბეტონის საძირკვლის ერთმანეთთან დაკავშირება მოხდება საძირკველიდან 0,4 მ ამოშვებული ანკერებით.

დოკუმენტში წარმოდგენილია მდ. არაგვის ჰიდროლოგიური მახასიათებლები. ნაპირსამაგრი ნაგებობა გაანგარიშებულია მდ. არაგვის ჰიდროლოგიური რეჟიმის გათვალისწინებით. სკრინინგის განცხადების თანახმად, 1% უზრუნველყოფის წყლის მაქსიმალური ხარჯი, საპროექტო უბანზე, შეადგენს 510 მ³/წმ-ს. კალაპოტის ზოგადი წარეცხვის საშუალო სიღრმე შეადგენს 3,61 მ-ს, ხოლო მაქსიმალური სიღრმე- 5,80 მ-ს.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, ნაპირდაცვითი სამუშაოების განხორციელების პროცესში გამოყენებული იქნება: 2 ექსკავატორი, 2 ბეტონმზიდი, 3 თვითმცლელი სატვირთო მანქანა. სამშენებლო სამუშაოების საწყის ეტაპზე მოხდება საპროექტო ტერიტორიასთან მისასვლელი გზის მოწესრიგება, სამშენებლო მოედნის მოწყობა და მანქანა-მექანიზმების მობილიზება, რის შემდგომ განხორციელდება გაბიონის კედლისთვის ქვბულის დამუშავება და გაბიონის კედლის მოწყობა. სამუშაოების შემდგომ ეტაპზე მოხდება დამცავი კედლის უკანა სივრცის გრუნტით შევსება და დატკეპნა, აგრეთვე მილსადენის თაროსა და კედლის თავს შორის არსებული სივრცის გრუნტით შევსება, პროფილირება და დატკეპნა. სამშენებლო სამუშაოების ბოლო ეტაპზე განხორციელდება დემობილიზაცია. ნაპირსამაგრი სამუშაოების სავარაუდო ხანგრძლივობა შეადგენს 1 თვეს და 12 დღეს და დასაქმდება 17 ადამიანი.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, სამშენებლო სამუშაოების ჩატარების პერიოდში, ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე და ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელებით გამოწვეული ზემოქმედება მოსალოდნელია მხოლოდ სამშენებლო ტექნიკის მუშაობის და ავტოსატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის შედეგად. ნაპირსამაგრი ნაგებობის მოწყობისათვის საჭირო სამშენებლო სამუშაოების მასშტაბისა და ხანგრძლივობის (1 თვე და 12 დღე) გათვალისწინებით, ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე და ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელებით გამოწვეული მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. ამასთან, ატმოსფერულ ჰაერის ხარისხზე მოსალოდნელი ზემოქმედების მაქსიმალურად შემცირების მიზნით, დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში, გატარდება შემდეგი ღონისძიებები: სამშენებლო ტექნიკის და სატრანსპორტო საშუალებების რეგულარული შემოწმება გამართულობაზე და გაუმართაობის შემთხვევაში მათი მუშაობის აკრძალვა; სამუშაოების წარმოება მხოლოდ დღის საათებში; ტრანსპორტის გადაადგილების შეზღუდვა; გრუნტის გზებზე ტრანსპორტის გადაადგილების სიჩქარის შეზღუდვა; სატვირთო მანქანების ძარის გადაფარვა ამტვერებადი მასალის ტრანსპორტირებისას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, სამშენებლო სამუშაოების ეტაპზე მოსალოდნელია როგორც სახიფათო, ისე არასახიფათო და ინერტული ნარჩენების წარმოქმნა. სამშენებლო სამუშაოების დროს მოხდება წარმოქმნილი ნარჩენების სეპარირებული შეგროვება და შესაბამის კონტეინერებში განთავსება. სახიფათო ნარჩენები გადაეცემა შესაბამისის ნებართვის მქონე ორგანიზაციას.

სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილია საპროექტო ტერიტორიაზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგები. შესწავლის შედეგად მიღებული მონაცემების საფუძველზე დადგინდა, რომ საკვლევ არეალში გვხვდება 3 ძირითადი საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტი (სგე). სგე-1 - მსხვილნატეხოვანი გრუნტი წარმოდგენილია კარგად და საშუალოდ დამრგვალებული კაჟარ-კენჭნარით, ხრეშის, ქვიშის და ქვიშნარის შემავსებლით, გრუნტი მდინარის ჭალაში გაწყლოვანებულია; სგე-2 - მსხვილნატეხოვანი გრუნტი წარმოდგენილია ლოდნარით, მსხვილი ღორღით, თიხნარის და ხვინჭის შემავსებლით; სგე-3 - გამოფიტული ძირითადი ქანები. მერგელებით, მერგელოვანი ფიქლებით, კირქვების და ქვიშაქვების მორიგეობით. საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულიდან გამომდინარე სამშენებლო მოედანი მიეკუთვნება III (რთულ) კატეგორიას. პროექტის განხორციელების შედეგად, საშიში გეოლოგიური პროცესების განვითარება ან სხვა უარყოფითი ზეგავლენა გეოლოგიურ გარემოზე მოსალოდნელი არ არის.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საპროექტო ტერიტორიაზე ნიადაგის ნაყოფიერი ფენა და მცენარეული საფარი წარმოდგენილი არ არის. მშენებლობის დროს მოსალოდნელია დროებითი ხასიათის უარყოფითი ზემოქმედება მდინარის წყლის ხარისხსა და იქთიოფაუნაზე, თუმცა საწვავის დაღვრის და სხვა სახის დაბინძურების პრევენცია და ნარჩენების სწორი მართვა ხელს შეუწყობს მდინარის წყლის ხარისხსა და იქთიოფაუნაზე უარყოფითი ზემოქმედების შემცირებას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაგეგმილი საქმიანობით ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, საპროექტო ტერიტორია არ მდებარეობს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, დაცული და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიების სიახლოვეს, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება განთავსდა სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და გადაეგზავნა დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიას, საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, საზოგადოების მხრიდან, აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით, წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში არ ყოფილა წარმოდგენილი.

სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ დაგეგმილი საქმიანობის სპეციფიკის, ადგილმდებარეობის, ხანგრძლივობისა და მასშტაბის გათვალისწინებით, გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილისა და ამავე კოდექსის II დანართის მე-9 პუნქტის 9.13. ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ დუშეთის მუნიციპალიტეტში, დაბა ფასანაურში სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ მიერ „ვლადიკავკაზ-თბილისის“ მაგისტრალური გაზსადენის 120-121 კმ-ზე მდ. არაგვის ნაპირდაცვითი (ნაპირსამაგრი) სამუშაოების განხორციელება არ დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“ ვალდებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციას“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და დუშეთის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თამარ ფიცხელაური

თ. ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო